

# საქართველოს პეწიანების (Coleoptera, Buprestidae) მრავალფეროვნება

წიკლაური რუსუდანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ლევან მუმლაძე,  
ასოცირებული მკვლევარი ნანა ბახტაძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

21.06.2024

წიკლაური რუსუდანი

## სარჩევი

განაცხადი.....	ii
ნაშრომში გამოყენებული აღნიშვნები, შემოკლებები და აბრევიატურები: .....	iv
აბსტრაქტი.....	v
შესავალი.....	1
მასალა და მეთოდები .....	7
საკვლევი ტერიტორია .....	7
გამოყენებული მეთოდები .....	8
კოლექციები .....	10
შედეგები .....	11
საქართველოს პეწიანების (Coleoptera, Buprestidae) ანოტირებული სია.....	12
დისკუსია.....	35
გამოყენებული ლიტერატურა.....	41
მადლობა .....	50
დანართი.....	52

## ნაშრომში გამოყენებული აღნიშვნები, შემოკლებები და აბრევიატურები

ინდ. - ინდივიდი

სინ. - სინონიმი

Leg. - მასალის შემგროვებელი

CaBOL – კავკასიის სიცოცხლის ბარკოდირების პროექტი

EIAUG - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ენტომოლოგიის ინსტიტუტის მუზეუმი

nomen dubium - საეჭვო სახელწოდება

\* - სახეობები რომლებიც პირველად რეგისტრირებული საქართველოში.

\*\* - საქართველოს ენდემური სახეობები.

\*\*\* - სახეობები რომელთა გავრცელება საქართველოში დასტურდება მხოლოდ პალეარქტიკული კატალოგის მიხედვით.

## აბსტრაქტი

პეწიანების ოჯახზე (Coleoptera, Buprestidae) პირველი მონაცემი საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გვხვდება. მათი შესწავლა ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ XX საუკუნის 80-იან წლებამდე გრძელდება. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში საქართველოს პეწიანებზე ახალი ცნობები ძალიან მცირეა და არ აღწერს მრავალფეროვნების სრულ სურათს. ჩემი სამაგისტრო კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს პეწიანების მრავალფეროვნების შესწავლას და ანოტირებული სიის შედგენას. მონაცემები შეგროვდა 2021 წლიდან 2023 წლის ჩათვლით საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, დასახლებულ და დაუსახლებელ პუნქტებში, რეკრეაციულ ზონებში. ნიმუშების მოპოვება ხდებოდა მწერსაჭერი ბადით, ხელით ჭერის მეთოდით და ასპირატორით. საკუთარი მონაცემების გარდა ნაშრომში გამოვიყენე ლიტერატურის, პროექტ „CaBOL“-ის და აგრარული უნივერსიტეტის ენტომოლოგიის ინსტიტუტის მუზეუმის მონაცემები. კვლევის შედეგად, პირველად შედგინდა საქართველოს პეწიანების ანოტირებული სია, სადაც ისტორიული მონაცემების სრული რევიზია განხორციელდა. ამასთანავე, საქართველოს პეწიანების მრავალფეროვნებას დაემატა საქართველოსთვის ახალი 1 გვარი და 22 სახეობა და ამჟამად იგი წარმოდგენილია 28 გვარის 155 სახეობით. ლიტერატურიდან ცნობილ პეწიანების მასპინძელ 73 სახეობის მცენარეს დაემატა კიდევ 4 სახეობა.